ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ42.42222691**

თარიღი:**26/09/2022**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 59.8 მ^3 გრანიტის ქვის ნატეხი ფილების და 3.4 მ^3 პორფირიტის ქვის ნატეხი ფილების განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 19 აპრილის N4/30 განკარგულების, ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 59.8 მ3 გრანიტის ქვის ნატეხი ფილების და 3.4 მ3 პორფირიტის ქვის ნატეხი ფილების უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2022 წლის 16 აგვისტოს, Nბ42.42222285 ბრძანების, ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 59.8 მ3 გრანიტის ქვის ნატეხი ფილების და 3.4 მ3 პორფირიტის ქვის ნატეხი ფილების უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2022 წლის 06 სექტემბრის, Nბ42.42222491 ბრძანების შესაბამისად და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

მუხლი 1. გამოცხადდეს განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 59.8 მ^3 გრანიტის ქვის ნატეხი ფილების და 3.4 მ^3 პორფირიტის ქვის ნატეხი ფილების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 59.8 მ^3 გრანიტის ქვის ნატეხი ფილების და 3.4 მ^3 პორფირიტის ქვის ნატეხი ფილების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 10311.00 (ათი ათას სამასთერთმეტი) ლარით, ,,ბე“ განისაზღვროს 3093.30 (სამი ათას ოთხმოცდაცამეტი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 103.11 (ასსამი ლარი და თერთმეტი თეთრი) ლარით.

მუხლი 3. განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2022 წლის 27 სექტემბრის 15:00 საათიდან, 2022 წლის 11 ოქტომბრის 15:00 საათამდე.

მუხლი 4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ,,ბე“ ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მუხლი 5. საპრივატიზებო მოძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

მუხლი 6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუხლი 7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 8. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი ,,ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 9. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423376 (შემოსულობა ნედლეულისა და მასალების გაყიდვიდან).

მუხლი 10. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.

მუხლი 11. უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო მოძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge.

მუხლი 12. წინამდებარე ბრძანების სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს ქონების მართვის განყოფილებამ, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.

მუხლი 13. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

მუხლი 14. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსს ნინო გვასალიას.

მუხლი 15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავითი კვიციანი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის
მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი